საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 139

22 02 2017წ.

ქ. თბილისი

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 21 თებერვლის №155778 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესი დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2015 წლის 01 სექტემბრის №718 ბრძანება.
3. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი თამარ სანიკიძე

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი - NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT - LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW 202330566

დანართი

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესი

I თავი
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს წესი არეგულირებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა (შემდგომში - ექსპერტთა) შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის საკითხებს.

მუხლი 2. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის მიზანი

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის (შემდგომში - წესი) მიზნებია:

ა) საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესის განხორციელებისას თანმიმდევრული და სრულყოფილი შეფასების უზრუნველყოფა და ექსპერტთა საქმიანობის გაუმჯობესების ხელშეწყობა;

ბ) განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასების პროცესის გაუმჯობესება სათანადო კვალიფიკაციის მქონე ექსპერტთა კორპუსის წევრების შერჩევისთვის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და პროცედურის ჩამოყალიბებით;

გ) „ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების“ შესაბამისად, ობიექტური და განვითარებაზე ორიენტირებული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარების ხელშეწყობა;

დ) ექსპერტთა ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დაცვის ხელშეწყობა.

II თავი
ექსპერტთა შერჩევისა და ექსპერტთა კორპუსის შექმნის წესი

მუხლი 3. ექსპერტთა კორპუსი

1. ექსპერტი არ შეიძლება იყოს საჯარო მოხელე ან ცენტრის თანამშრომელი.

2. ექსპერტთა კორპუსის შემადგენლობაში წარმოდგენილნი უნდა იყვნენ გამოცდილების ფართო სპექტრის მქონე ექსპერტები საგანმანათლებლო დაწესებულებისა და საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.

3. ექსპერტთა კორპუსი იყოფა ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტებად.

4. ექსპერტთა კორპუსი მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 4. ექსპერტთა კორპუსის წევრების შერჩევის პროცედურა

1. ექსპერტების შერჩევისა და ექსპერტთა კორპუსის შექმნის მიზნით, ცენტრი ახორციელებს განაცხადების მიღებას, მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებასა და შერჩევას.

2. ექსპერტთა კორპუსის წევრების შერჩევის პროცედურა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) განაცხადის წარდგენა, რომელსაც უნდა დაერთოს სამოტივაციო წერილი, ავტობიოგრაფია (CV) და კვალიფიკაციის/განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი, ორი რეკომენდატორის მითითებით;

ბ) წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადარჩევა შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით;

გ) ექსპერტთა შერჩევის მიზნით, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაბამისი კომისიის შექმნა;

დ) გასაუბრება;

ე) კომისიის მიერ შერჩეული კანდიდატების შესახებ რეკომენდაციის წარდგენა ცენტრის დირექტორისთვის;

ვ) ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ექსპერტთა შეყვანა ექსპერტთა კორპუსის შემადგენლობაში.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ეტაპებიდან, ექსპერტთა კორპუსის წევრების შერჩევის პროცედურა შესაძლებელია მოიცავდეს მხოლოდ „ა“ „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ეტაპებს ან სრულად „ა“-„ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ეტაპებს.

4. ექსპერტთა კორპუსის წევრების კონკურსის გზით შერჩევის პროცედურა შესაძლებელია ითვალისწინებდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტისაგან განსახვავებულ და/ან დამატებით ეტაპს/ეტაპებს.

მუხლი 5. ექსპერტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის/პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

ა) მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირების, მასში მიმდინარე პროცესებისა და სპეციფიკის ცოდნა, რაც დასტურდება შესაბამისი სამუშაო გამოცდილებით;

გ) ზოგად განათლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების ცოდნა:

- „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის №84 დადგენილება;
- „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანება;
- „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;
- „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება;

- „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის №68 დადგენილება;

დ) კომპიუტერული უნარების ქონა;

ე) გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი;

ვ) მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის/პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

ა) პროფესიული ან აკადემიური უმაღლესი განათლება;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირების, მასში მიმდინარე პროცესებისა და სპეციფიკის ცოდნა, რაც დასტურდება შესაბამისი სამუშაო გამოცდილებით ან დარგის სპეციალისტის კვალიფიკაცია, რაც დასტურდება შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილებით;

გ) პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების ცოდნა:

- „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;
- „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანება;
- „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანება;

დ) კომპიუტერული უნარების ქონა;

ე) გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი;

ვ) მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; ხოლო, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი ნაწილის შესაფასებლად ექსპერტობის კანდიდატს უნდა გააჩნდეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ან იყოს დოქტორანტი და ჰქონდეს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, განხორციელებასა და განვითარებაში მონაწილეობის გამოცდილება და/ან კვლევის განხორციელებისა და/ან კვლევითი პროექტების მართვის გამოცდილება;

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მინიმუმ ერთი სტანდარტის შესაფასებლად შესაბამისი სპეციფიკის ცოდნა და გამოცდილება;

გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების, მასში მიმდინარე პროცესებისა და სპეციფიკის ცოდნა, რაც დასტურდება შესაბამისი სამუშაო გამოცდილებით;

დ) „ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG)“ 2015 წლის დოკუმენტის ცოდნა, ბოლონიის პროცესის შესახებ ზოგადი ცოდნა და უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების ცოდნა:

- „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;
- „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანება;
- შესაბამისი სფეროს დარგობრივი მახასიათებლები.

ე) კომპიუტერული უნარების ქონა;
ვ) გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
ზ) მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ან დოქტორანტი, რომელსაც აქვს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლებისა და/ან სამეცნიერო-კვლევის გამოცდილება;
ბ) დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე აკრედიტაციის ექსპერტს შეიძლება ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და შესაბამის სფეროში მუშაობის 3 წლიანი გამოცდილება;
გ) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, განხორციელებასა და განვითარების პროცესში მონაწილეობის გამოცდილება;
დ) „ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG)“ 2015 წლის დოკუმენტის ცოდნა, ბოლონიის პროცესის შესახებ ძირით დაკავშირებით ზოგადი ცოდნა და განათლების სფეროსთან დაკავშირებული შესაბამისი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

- „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;
- „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება;
- „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანება;
- შესაბამისი სფეროს დარგობრივი მახასიათებლები.

ე) კომპიუტერული უნარების ქონა;
ვ) გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
ზ) მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;

5. საერთაშორისო ექსპერტებს არ მოეთხოვებათ ექსპერტთა კორპუსის შემადგენლობაში შეყვანის დროისათვის განათლების სფეროში მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის ცოდნა.

6. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი სტუდენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

ა) სტუდენტის აქტიური სტატუსის ქონა;
ბ) მაღალი აკადემიური მოსწრება;
გ) სტუდენტურ და საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართულობა;
დ) „ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG)“ 2015 წლის დოკუმენტისა და განათლების სფეროსთან დაკავშირებული შესაბამისი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

- „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;
- „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება;

ე) გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
ვ) მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.

7. მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნობრივ დისციპლინებში, ან ფსიქოლოგიაში, ან პედაგოგიკაში;

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირების, მასში მიმდინარე პროცესებისა და სპეციფიკის ცოდნა, რაც დასტურდება შესაბამისი სამუშაო გამოცდილებით;

გ) პროგრამის/ტრენინგ-მოდულის შემუშავებისა და განვითარების პროცესში მონაწილეობის გამოცდილება;
დ) მასწავლებლის პროფესიასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების ცოდნა:

- „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის №84 დადგენილება;
- „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანება;
- „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის №68 დადგენილება;
- „მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 4 დეკემბრის №1102 ბრძანება.

ე) კომპიუტერული უნარების ქონა;
ვ) გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
ზ) მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.

8. ექსპერტთა კორპუსის წევრების კონკურსის გზით შერჩევისას ცენტრი უფლებამოსილია დაადგინოს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

მუხლი 6. ექსპერტთა კორპუსის წევრის ინტერესთა კონფლიქტი

1. ექსპერტთა კორპუსის წევრის ინტერესთა კონფლიქტი არის ექსპერტის ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესების დაპირისპირება ამ წესის მე-2 მუხლით განსაზღვრულ მიზნებთან. ინტერესთა კონფლიქტად განიხილება ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოებების არსებობა.
2. ექსპერტთა კორპუსის წევრმა ავტორიზაციის/აკრედიტაციის საქმისწარმოების დასრულებიდან 1 წლის განმავლობაში არ უნდა დაამყაროს შრომითი ურთიერთობა შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.
3. ექსპერტი არ არის უფლებამოსილი, ცენტრის თანხმობის გარეშე ცენტრის სახელით გასწიოს კონსულტაცია საგანმანათლებლო დაწესებულებების/პროგრამების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საკითხებთან დაკავშირებით.

III თავი
ექსპერტთა საქმიანობის წესი

მუხლი 7. ექსპერტთა ჯგუფის შექმნა და წევრთა ფუნქციები

1. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა, ექსპერტთა რაოდენობა (რომელიც არ უნდა იყოს 2 პირზე ნაკლები), დაწესებულებაში ვიზიტის ხანგრძლივობა და ჯგუფის წევრთა შრომის ანაზღაურება განისაზღვრება ინდივიდუალურად, საგანმანათლებლო დაწესებულების/პროგრამის სპეციფიკის, პროგრამების რაოდენობის და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ექსპერტთა კორპუსის წევრი - სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალი და სტუდენტი, ასევე შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ დამსაქმებლები და სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები.
3. ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთ წევრს, ცენტრის დირექტორის ბრძანებით, ეკისრება ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეობა.
4. ექსპერტთა ჯგუფის თითოეული წევრის ფუნქციაა:

ა) საავტორიზაციო/საakრედიტაციო ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლოს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების შევსებული ფორმა და მასზე თანდართული დოკუმენტაცია; აღნიშნულის საფუძველზე თითოეულ სტანდარტთან მიმართებით ჩამოაყალიბოს შენიშვნები, მოსაზრებები და კითხვები, რომელთა გარკვევა სურს ვიზიტის ფარგლებში;

ბ) მონაწილეობას იღებს ვიზიტის დღის წესრიგის შემუშავებაში;

გ) ვიზიტის წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით, შეისწავლოს ყველა საკითხი დასკვნის შესადგენად, მათ შორის, ჩაატაროს დაინტერესებულ პირებთან ინტერვიურება, საჭიროების შემთხვევაში, გამოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია, მოახდინოს ვიზუალური დათვალიერება და, საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს დღის წესრიგით გაუთვალისწინებელი აქტივობები;

დ) ვიზიტის შემდგომ მონაწილეობა მიიღოს შეფასების შედეგების განხილვაში, შეჯამებასა და დასკვნის მომზადებაში;

ე) მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი საკითხის განხილვაში ავტორიზაციის/აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე.

5. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს საგანმანათლებლო დაწესებულების/პროგრამის შეფასების პროცესს;

ბ) დაწესებულების თვითშეფასების შევსებული ფორმისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლისა და ავტორიზაციის/აკრედიტაციის სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით, უზრუნველყოფს ჯგუფის წევრებს შორის მოვალეობების განაწილებას ექსპერტთა ჯგუფის წევრების კომპეტენციის გათვალისწინებით;

გ) ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან ერთად შეიმუშავებს ვიზიტის დღის წესრიგს, რომელსაც ათანხმებს ცენტრთან;

დ) ვიზიტისას ხელმძღვანელობს ინტერვიუირების პროცესსა და შეხვედრებს დაწესებულების წარმომადგენლებთან;

ე) ვიზიტის ყოველი დღის ბოლოს აწყობს შემაჯამებელ განხილვას ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან;

ვ) ახდენს ვიზიტის პროცესში ძირითადი მიგნებების პრეზენტაციას დაწესებულების წინაშე;

ზ) დადგენილ ვადაში აყალიბებს ექსპერტთა დასკვნის პროექტს და წარუდგენს ცენტრს.

6. საჭიროების შემთხვევაში, ამ წესის მე-9 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებთან დასკვნის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფს უკან უბრუნდება დასკვნის პროექტი, რომელსაც შენიშვნების შესაბამისად ასწორებს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე.

7. დაწესებულებისგან წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ექსპერტთა ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად აყალიბებს დასკვნას საბოლოო სახით და წარუდგენს ცენტრს.

მუხლი 8. ცენტრის წარმომადგენელის მიერ ექსპერტთა საქმიანობაზე დაკვირვება

1. ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ცენტრი უფლებამოსილია, განახორციელოს ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობაზე დაკვირვება.

2. ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის დაკვირვებაზე პასუხისმგებელი ცენტრის წარმომადგენლი:

ა) აკვირდება ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობას საგანმანათლებლო დაწესებულების/პროგრამის შეფასების ყველა ეტაპზე;

ბ) საგანმანათლებლო დაწესებულების/პროგრამის შეფასების პროცესში პროცედურული დარღვევის შემთხვევაში აცნობებს ცენტრს;

გ) საჭიროების შემთხვევაში, ტექნიკურ დახმარებას უწევს ექსპერტთა ჯგუფს.

3. ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის დაკვირვებაზე პასუხისმგებელი ცენტრის წარმომადგენელი არ მონაწილეობს შეფასებისა და დასკვნის შედგენის პროცესში.

მუხლი 9. დასკვნის შედგენა

1. ექსპერტთა ჯგუფი დოკუმენტების შესწავლისა და ვიზიტის შედეგად შეგროვებული ინფორმაციისა და მონაცემების საფუძველზე ადგენს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

2. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმები მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. ექსპერტთა დასკვნაში წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს:

ა) მკაფიო და ნათელი;

ბ) ენობრივად გამართული;

გ) არგუმენტირებული და მტკიცებულებებით გამყარებული.

4. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე უფლებამოსილია, დასკვნის კონკრეტული ნაწილის შედგენა დაავალოს ექსპერტთა ჯგუფის კონკრეტულ წევრს. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის

დასკვნის თითოეულმა ნაწილმა უნდა ასახოს მთლიანად ექსპერტთა ჯგუფის შეფასებები და რეკომენდაციები.
5. ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას დაერთვება განსხვავებული აზრი.

IV თავი
ექსპერტთა პროფესიული განვითარება და მათი მუშაობის შეფასება

მუხლი 10. ექსპერტთა პროფესიული განვითარება

1. ცენტრი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესის სრულყოფილად წარმართვისა და შეფასების ერთიანი პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით იღებს პასუხისმგებლობას, უზრუნველყოს ექსპერტების პროფესიული განვითარება, კერძოდ, იგი:

ა) ატარებს ტრენინგებს ექსპერტთა კორპუსის წევრებისთვის არსებული სტანდარტებისა და პროცედურების, პროცესების, ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობისა და პერიოდული უკუკავშირით უზრუნველყოფის მიზნით;
ბ) უზრუნველყოფს ექსპერტებისთვის საქმიანობასთან დაკავშირებული სახელმძღვანელოებისა და დამხმარე მასალების მომზადებას;
დ) ორგანიზებას უწევს ექსპერტთა კორპუსთან პერიოდულ შეხვედრებს ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესის მიმდინარეობის ანალიზის, პრობლემების იდენტიფიცირებისა და არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით.

2. ცენტრი ხელს უწყობს ექსპერტთა ჩართვას სხვადასხვა საერთაშორისო პროექტსა და უცხოური განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების მიერ განხორციელებულ შეფასებებში.
3. ცენტრი ექსპერტთა კორპუსის წევრებს სთავაზობს ტრენინგების ჩატარებას საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ექსპერტთა კორპუსის სხვა წევრებისთვის.
4. საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ცენტრი უფლებამოსილია, განახორციელოს ექსპერტთა პერიოდული ატესტაცია. ექსპერტთა ატესტაცია ცხადდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ექსპერტთა ატესტაციისას მიღებული უარყოფითი შეფასება შეიძლება გახდეს ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის საფუძველი.

მუხლი 11 . ექსპერტთა მუშაობის შეფასება

1. ექსპერტთა მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, ცენტრი თითოეული ვიზიტის დასრულების შემდეგ ახორციელებს ექსპერტთა მუშაობის შეფასებას წინასწარ შედგენილი შეფასების კითხვარების მიხედვით, რომლებიც მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ კითხვარებს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ჩაბარებამდე, ავსებენ ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის დაკვირვებაზე პასუხისმგებელი ცენტრის წარმომადგენელი და შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულება.

3. ექსპერტების საქმიანობა ექვემდებარება ცენტრის მიერ პერიოდულ შეფასებას. ექსპერტის საქმიანობის უარყოფითი შეფასება შეიძლება გახდეს მისი ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის საფუძველი.

V თავი
ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესი

მუხლი 12. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტა

1. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) ექსპერტის ამ წესით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შეუსაბამობა;

ბ) ექსპერტის მიერ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევა;

გ) ექსპერტის მიერ ამ წესის მე-7 მუხლით გათვალისწინებული ფუნქციების არაჯეროვანი შესრულება;

დ) ექსპერტის მიერ ამ წესის მე-6 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა;

ე) ექსპერტის პირადი განცხადება;

ვ) ექსპერტის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

ზ) სასამართლოს მიერ ექსპერტის ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად ცნობა;

თ) ექსპერტის გარდაცვალება;

ი) ამ წესის შესაბამისი ნორმებით ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის საფუძვლად განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

2. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სისტემური ცვლილებების და/ან ექსპერტების ახალი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის და/ან მათი საქმიანობის წესის არსებითი ცვლილების შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ექსპერტთა კორპუსის რეორგანიზაციისა და ექსპერტთა კორპუსის ახალი შემადგენლობის ფორმირების შესახებ.

მუხლი 13. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტაზე წარმოების დაწყება

1. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტაზე ადმინისტრაციული წარმოება იწყება წერილობითი განცხადების საფუძველზე და/ან ცენტრის ინიციატივით, გარდა ამ წესის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. წერილობითი განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;

ბ) განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს;

გ) ექსპერტის სახელსა და გვარს;

დ) მოთხოვნას;

ე) განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას;

ვ) განცხადებაზე თანდართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

3. ამ წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის შესახებ ცენტრში წარმოდგენილი განცხადება უნდა შეიცავდეს შესაბამის დასაბუთებას.

4. ანონიმური წერილები და შეტყობინებები არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ექსპერტის კორპუსის წევრობის შეწყვეტის საკითხის განხილვას.

მუხლი 14. ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტაზე წარმოების ჩატარება

1. ექსპერტის მიმართ ამ წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „დ“ და/ან „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ქმნის არანაკლებ 3 კაციან ეთიკის კომისიას (შემდგომში - კომისია). კომისია ცენტრის დირექტორს სრული შემადგენლობის

უმრავლესობით წარუდგენს შესაბამის რეკომენდაციას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კომისია რეკომენდაციას ამზადებს ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

3. ექსპერტის მიმართ ამ წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ და/ან „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, არსებული დოკუმენტაციის, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ცენტრის დირექტორს ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებულ რეკომენდაციას წარუდგენენ შესაბამისად ცენტრის ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები.

4. ამ მუხლის მე-2 ან მე-3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რეკომენდაციის, ჩადენილი გადაცდომის შინაარსის, სიმძიმისა და დამდგარი შედეგის საფუძველზე, ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან ერთი თვის ვადაში, ცენტრის დირექტორი იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ექსპერტის უფლებამოსილების შეწყვეტისა და ექსპერტთა კორპუსიდან ამოღების შესახებ;

ბ) ექსპერტის უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

5. ცენტრის დირექტორის გადაწყვეტილება 10 დღის ვადაში უნდა ჩაბარდეს ექსპერტს პირადად, ხოლო მისი გამოუცხადებლობის შემთხვევაში, უნდა გაეგზავნოს მას ფოსტით.

6. ამ წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ ან/და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების საფუძველზე, ექსპერტისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 წლის განმავლობაში პირი არ არის უფლებამოსილი, ხელახლა გახდეს ექსპერტთა კორპუსის წევრი.

VI თავი
გარდამავალი დებულებები

მუხლი 15. ექსპერტთა კორპუსის ფორმირებისათვის საჭირო ღონისძიებები

1. ამ წესის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის ფორმირებამდე, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოქმედი ექსპერტები ჩაითვალონ ექსპერტთა კორპუსის წევრებად.

2. ამ წესის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის ფორმირების მიზნით, ცენტრის ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები, ამ წესის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში, ცენტრის დირექტორს წარუდგენენ წინადადებებს ექსპერტთა კორპუსის განახლებისა და, არსებული საჭიროებების გათვალისწინებით, ექსპერტთა კორპუსის ახალი წევრების შერჩევის აუცილებლობის შესახებ.